საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კვირია

კვირია, ნაყოფიერების წინაქრისტიანული ღვთაება საქართველოში, განასახიერებდა გაზაფხულზე ბუნების აღორძინებას. ქართველ მთიელთა რწმენა–წარმოდგენებით ღვთისშვილთა წინამძღოლი, ღვთის კარზე „მოარული“, „ხმელთ-მოურავი“, „მაღლის ხთის მოკარე/მოკარვე“. კ-ს სახელი მომდინარეობს ბერძნულიდან; კვირა – საღვთო, საუფლო დღე, რ-იც იმპ. კონსტანტინე დიდმა ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის აღსანიშნავად რომის იმპერიის მთავარ სადღესასწაულო დღედ გამოაცხადა (321).

საქართველოში კ-ს დღეობას აღდგომის მე-3 კვირას, მენელსაცხებლე დედების ხსენების დღეს აღნიშნავდნენ. რასაც მკვლევრები ქართლის მოქცევასა და მცხეთის ჯვრის დღესასწაულს უკავშირებენ.

აღმ. საქართ. მთიელთა საწესო ტექსტებში ღმერთი და კ. ერთად იხსენიება: „ხთისა, კვირაის დიდებით, ჩემის სიტყვის მახსენებით, ხთის წესითა, მღდლის წესითა, იერუმსალეთის ნათლით, ქრისტეს გარიგებით“ (ხალხ.). კ-ს შესთხოვდნენ შვილიერებას, მოსავლის სიუხვეს, საქონლის დაცვა-გამრავლებას, ლაღიან-ბარაქიანობას, თვალის სინათლეს, ქარ-სეტყვის, მიწისძვრის თავიდან აცილებას. ხალხური წარმოდგენით კ. ეხმარებოდა ღვთისშვილებს დევ-კერპების განადგურებაში. მასვე ებარა სამართალი: „გარმოდგეს სასწორი ჩარექი კვირავ, დაუგი თვალია“ (ხალხ.). მისი ხალხ. ეპითეტები იყო – „კვირაცხოველი“, „კვირაძალი“, „კვირაღვთისშვილი“. მოხევეები კვირაღვთისშვილს უწოდებდნენ ლითონის პატარა ხატს იესო ქრისტეს გამოსახულებით, რ-საც ამკობდნენ ყელსაბამით, ბეჭდებით, ღილებით. სვანეთში კ-ს სადიდებელ საფერხულო სიმღერებს ასრულებდნენ კალენდარულ სახალხო-რელიგიურ დღეობებზე. კ-ს სახელზე არსებობს ეკლესია სოფ. ართანაში (თელავის მუნიციპ.). არსებობს მოსაზრება, რომ კულტონიმი კ.

ქრისტეს ერთ-ერთი ხალხ. ეპითეტია.

ლიტ.: ალავერდაშვილი ქ., ღამბაშიძე ნ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული კულტურა, თბ., 2018; გუჯეჯიანი რ., ჩამგელიანი მ., ცინცაძე დ., „კვირია“ სვანეთის ტრადიციულ ყოფაში, წგ.: სვანეთის ისტორიის ფურცლები, თბ., 2011; კიკნაძე ზ., ხუციშვილი ქ., მინდაძე ნ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რელიგიური სისტემის ქრისტიანული სუბსტრატი, თბ. 2018; ლეკიაშვილი ა., ქართველ მთიელთა რელიგიური გადმონაშთების ინტერპრეტაციისათვის (ღვთაება კვირიას სახელები და ეპითეტები), მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისთვის (მსე), ნაკვ. 23, XXIII, თბ., 1987; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ., 1, თბ., 1979 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 1).

გ. ჩინჩალაძე